„საანგარიშო თვის ინფორმაცია დაქირავებული პირების შესახებ, რომლებსაც აქვთ კომპენსაციის მიღების უფლება (COVID-19)“

განცხადების წარმოდგენისთვის მიყევით შემდეგ ნაბიჯებს:

1. შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების გვერდზე https://eservices.rs.ge გაიარეთ **ავტორიზაცია** მომხმარებლისა და პაროლის მითითებით




2. დააჭირეთ ღილაკს **„აპლიკაციების მენიუ”**



გამოტანილი აპლიკაციებიდან მოძებნეთ ჩანართი **„დოკუმენტაცია“** და დააჭირეთ **„განცხადებების“** აპლიკაციას




3. დააწექით ღილაკს **„ახალი განცხადების რეგისტრაცია“**




4. გამოტანილ ფანჯარაში, საძიებო ველში ჩაწერეთ სიტყვა **„კომპენსაციის“**, რის შემდეგაც სისტემა გამოიტანს შესაბამის განცხადებას




5. აირჩიეთ განცხადება **„საანგარიშო თვის ინფორმაცია დაქირავებული პირების შესახებ, რომლებსაც აქვთ კომპენსაციის მიღების უფლება (COVID-19)“**, რის შემდეგაც გადახვალთ განცხადების ფორმაზე. შეავსეთ აღნიშნული განცხადების ველები. გაითვალისწინეთ, რომ ყველა ველის შევსება სავალდებულოა. გრაფების შევსების შემდეგ დააწექით ღილაკს „გაგზავნა“.



**გაითვალისწინეთ!!! სავალდებულო გრაფების შევსების შემდეგ აუცილებლად დააწექით დამატების ღილაკს** 

გთხოვთ, ტელეფონის ნომრის მითითებისას გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნულ საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერზე დაქირავებელი ფიზიკური პირი მიიღებს ინფორმაციას კომპენსაციის მიღების თაობაზე, საქართველოს მთავრობის დადგენილების N 286 "ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

**<u>გრაფაში „სადაზღვევო პრემია“</u>** გთხოვთ, მიუთითოთ სსკ-ის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა (დამქირავებლის მიერ დაქირავებულისთვის სიც ოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში ან საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის გადახდისას – დამქირავებლის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის ან სხვა თანხის მოცულობა).

გრაფა **„ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო იმყოფება შვებულებაში“** ინიშნება იმ შემთხვევაში თუ დაქირავებული პირები ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო იმყოფებიან შვებულებაში, შესაბამისად 2019 წლის ივლის-დეკემბრის თვეებიდან ნებისმიერ უწყვეტ სამ თვეს ან/და მიმდინარე წლის პირველი 3 თვის განმავლობაში ხელფასი არ აუღიათ და რომლებზეც მიმდინარე წლის 1 ივლისამდე დამქირავებლისაგან არ გაცემულა ხელფასი (მათ შორის, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის/შეჩერების გამო).

ასევე, გთხოვთ გაითვალისწინოთ, „სადაზღვევო პრემიის“ გრაფის სწორედ შევსება მნიშვნელოვანია დასაქმებულთათვის კომპენსაციის გაცემის პირობების დასაკმაყოფილებლად!!

- აქვე გაცნობებთ, რომ თუ თქვენ მიერ შემოსავლების სამსახურში ერთხელ უკვე გაგზავნილია განცხადება „საანგარიშო თვის ინფორმაცია დაქირავებული პირების შესახებ, რომლებსაც აქვთ კომპენსაციის მიღების უფლება (COVID-19)“, დამქირავებელს ახალი განაცხადის წარდგენის ვალდებულება წარმოეშობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაზუსტების მიზანია დაქირავებული პირის კომპენსაციის მიმღებ პირთა რეესტრში დამატება. დამქირავებელი ინფორმაციას წარადგენს მხოლოდ ამ პირზე, ხოლო დანარჩენ დაქირავებულებთან მიმართებით შემოსავლების სამსახური იყენებს დამქირავებლის მიერ სამსახურში წარდგენილ წინა განაცხად(ებ)ს.

***<u>გთხოვთ გაითვალისწინოთ: თიზ-ის საწარმო,</u>*** *<u>ვალდებულია ყოველთვიურად, არაუგვიანეს შესაბამისი თვის (თვე, რომელშიც პირმა ვერ მიიღო ხელფასი) მომდევნო თვის 15 რიცხვისა, განაცხადის ფორმით</u>* ***<u>„საანგარიშო თვის ინფორმაცია დაქირავებული პირების შესახებ, რომლებსაც აქვთ კომპენსაციის მიღების უფლება (COVID-19)“,</u>*** *<u>შემოსავლების სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია იმ დაქირავებულთა შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის N 286 დადგენილებით გათვალისწინებული დაქირავებით დასაქმებულის კომპენსაციის გაცემის პირობებს.</u>*

***<u>შესაბამისად,</u>*** *<u>თუ თიზ-ის საწარმოს მიერ წარდგენილ ინფორმაციაში ასახული არ იქნება პირი, რომელიც მის მიერ წინა პერიოდში წარდგენილ ინფორმაციაში იყო ასახული, ჩაითვლება რომ აღნიშნული პირი აღარ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის N 286 დადგენილებით გათვალისწინებული დაქირავებით დასაქმებულის კომპენსაციის გაცემის პირობებს, ხოლო</u>*

*<u>აღნიშნული ფაქტის არსებობა ივნისის თვის საანგარიშო პერიოდზე და შემდგომ პერიოდზე წარდგენილ ინფორმაციაში განხილული იქნება კომპენსაციის შეწყვეტის საფუძვლად.</u>*

**შენიშვნა:** დამქირავებელი უფლებამოსილია განაცხადის წარუდგენლობის ან/და არასწორად წარდგენის შემთხვევაში, დააზუსტოს/წარადგინოს განაცხადი შესაბამისი თვის 20 რიცხვის ჩათვლით.

თქვენ მიერ **რეგისტრირებული განცხადებების** ნახვა შეგიძლიათ **„განცხადებები**“-ს მოდულში.




ასევე, განცხადების სტატუსის გადამოწმება, მინიჭებული ID და შტრიხკოდის ნომრის მიხედვით შეგიძლიათ პირდაპირ შემოსავლების სამსახურის გვერდიდან ბმულზე: [www.rs.ge/searchapp](http://www.rs.ge/searchapp)